საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 233 2019 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ), საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და EDF-ს შორის გასაფორმებელი პარტნიორობის შესახებ სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის თანხმობის მიცემისა და გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით საქართველოს, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და EDF-ს შორის გასაფორმებელი პარტნიორობის შესახებ სამმხრივი ხელშეკრულების პროექტს (220 000 ევრო).

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მამუკა ბახტაძე